ვინიცის რეგიონში განხეთქილებაში მყოფთაგან მიტაცებული უძველესი ტაძარი დაცარიელებულია

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლო, რომლის წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის უძველესი ტაძარი ვინიცის რეგიონის სოფელ სტრელჩინცში „მეუ“-ს მომხრეებმა მიიტაცეს, არა მარტო შენარჩუნდა, არამედ გამრავლდა კიდეც. ამის შესახებ უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო დეპარტამენტი იტყობინება მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის საიტზე დაყრდნობით.

მტკივნეულია, რომ წინასწარმეტყველი ილიას სახელობის 200-წლიანი ისტორიის მქონე ტაძარი ცარიელია, განაცხადა ტულჩინის ეპარქიის დეკანოზმა პავლე პეტლევანმა.

განხეთქილებაში მყოფებმა ჯერ კიდევ სამი წლის წინ დახურეს სოფლის უძველესი ტაძარი. დეკანოზი პავლეს სიტყვებით, მას შემდეგ სოფელი ორად გაიყო, ახლა კი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები და „მეუ“-ს მომხრეები სხვადასხვა მაღაზიებშიც კი დადიან.

„ვმსახურობთ ტაძრის წინ მდებარე ეზოში. ზაფხულში მგალობელთა გუნდს ბულბულები ყვებიან გალობაში, ზამთარში კი – გამყინვარე ქარი. მაგრამ, მრევლი არა მხოლოდ შენარჩუნდა, არამედ

გამრავლდა კიდეც. კიევში ჯვრით დიდი მსვლელობისას ჩვენთან ერთად მრევლის შვილებიც წამოვიდნენ, რომლებიც გერმანიიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ“ – განაცხადა მღვდელმა.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლო სოფელ სტრელჩინცში თავისი ტაძრისთვის სასამართლოში აგრძელებს ბრძოლას. მათ მხრებზე უკვე 16 სასამართლო სხდომა და ფურცლების მთებია, და როგორც მამა პავლემ აღნიშნა, „სამართლის უზენაესობის იმედი გვაქვს“.

ღვთისმსახურმა განმარტა, რომ „მეუ“-ს წარმომადგენლები მიტაცებულ ტაძარში საკმაოდ იშვიათად ჩნდებიან: 2019 წელს – 5-ჯერ, 2020 წელს – არც ერთხელ არ ყოფილან. წელს ჩამოსული იყო „უმე-ს მღვდელი“, მაგრამ მან უარი თქვა „მსახურებაზე“ – მასთან მხოლოდ სამი ადამიანი მივიდა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87855/